ახალი ლეგხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

იოანეს სახარება

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო

რეგისტრაციის ნომერი: №57/1–180

თებერვალი №23 (17) ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის გამგეობაში

საინფორმაციო ოპერატიულ თათბირზე

თათბირს, რომელიც 24 თებერვალს ჩატარდა, რაიონის გამგებელი ზურაბ ხეცურიანი უძღვებოდა, ესწრებოდნენ წარმოება—დაწესებულებათა ხელმძღვანელები.

სხდომას შესავალი გამგებელმა გაუკეთა, მანვე ისაუბრა ახლახანს თბილისში ჩატარებული მთავრობის სხდომის შესახებ.

„ქვეყანაში ძალიან მძიმე მდგომარეობაა, 27 თებერვლამდე ვერ ახერხებენ ტრანსფერის გადმორიცხვას, თუმცა ზამთრის თვეებისათვის ეს დამახასიათებელია, ხელფასები მაინც გაიცემა.

ჩანს თუ არა, ქვეყანა ნაწილობრივ მაინც მიდის წინ, თუნდაც იმიტომ, რომ სახელმწიფომ შეძლო ორასი ათასი ლარის გამოყოფა სარემონტო სამუშაოებისათვის, შესაძლებელი გახდება მაწავლებელთა ხელფასის და საერთოდ, ხელფასის მომატებაც.

მოახლოვდა სპარლამენტო არჩევნები, თუმცა ამას საყოველთაო არეულობა არ უნდა მოჰყვეს, ხალხს მივცეთ თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება.

არ შემიძლია არ შევეხო მთავარ თემას—ბიუჯეტს, თითოეული თქვენგანი უნდა დაგვეხმაროს მის საფუძვლიან შედგენაში, ბიუჯეტის დიდი პროცენტი დღეისათვის არის შესრულებული, რაშიც მთავარი დამსახურება საგადასახადო ინსპექციას მიუძღვის.

ბიუჯეტის შესრულება—ეს არის აუცილებლობა, სხვანაირად რაიონის ყოფნა არსებობა სასწორზე დგება“.

თავისი გამოსვლის შემდეგ ბატონმა ზურაბმა სიტყვა მისცა დაწესებულებათა ხელმძღვანელებს.

კარლო კვირიკაშვილი—საგადასახადო ინსპექციის უფროსი: „ჩვენთვის მთავარი პირველ რიგში ეკონომიკური საკითხების მოგვარებაა. იანვარში საგადასახადო ინსპექციამ შეძლო 7 ათასი ლარით მეტი შეეტანა ბიუჯეტში. გეგმა გახლდათ 58 ათასი ლარი, შეტანილია 65 ათასი ლარი, აქედან 47 ათასი ჩაირიცხა ცენტრალურ ბიუჯეტში. ადგილობრივს დააკლდა 5000 ლარი.

თებერვლის გეგმაც დაახლოებით 58000 ლარია, აქედან 40 ათასამდე უკვე შესრულებულია, თუ გადამხდელები კეთილსინდისიერად მოეკიდებიან საკითხს, გეგმა ბოლომდე არის შესრულებადი.

ნაირა ბერაძე—საფინანსო განყოფილების გამგე:

2003 წელი დავიწყეთ დაუმტკიცებელი ბიუჯეტით, მაგრამ თანხების განკარგვაში ქაოსი ნამდვილად არ გვაქვს.

იანვრის გეგმა ბოლომდე ვერ შესრულდა, მაგრამ წინა წელთან შედარებით ზრდა ნამდვილად ფიქსირდება. სრულყოფილად ვერ მივიღეთ ტრანსფერი, ამიტომაც სრულიად ვერ მოხერხდა ხარჯების გაწევა.

2003 წლის ბიუჯეტი უნდა დამტკიცდეს პირველ მარტამდე, რადგან რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცებამდე ჩვენ არ გვქონდა ამის საშუალება.

2003 წლის 1 ივნისიდან უნდა განხორციელდეს 20%-იანი შემცირება, როგორც მაღალმთიან რაიონს, შეღავათი ეძლევა განათლების სფეროს, ახლადშექმნილ საბიუჯეტო დაწესებულებებს, ლტოლვილებს.

სიახლეა საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2003 წლის თებერვალში შეტანილი ცვლილებების თანახმად

2004 წლის 1 იანვრამდე აღდგენილ იქნა ეკონომიკური საქმიანობის გადასახადი

მაღალმთიანი რეგიონების ტერიტორიაზე არსებული საწარმოების და ფიზიკური პირთა ჭონების გადასახადიდან გათავისუფლება განხორციელდება 2004 წლის 1 იანვრიდან, 2004 წლის 1 იანვრამდე გაუგრძელდა მოქმედების ვადა პრეზუმციულ გადასახადებს, 2004 წლის 1 იანვრამდე გადატანილი იქნა ამოქმედების ვადა საგადასახადო შეღავათებზე; მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მრავალშვილიანი (სამი და მეტი შვილი) პირის საშემოსავალო გადასახადებიდან გათავისუფლებაზე; ვაჭრობის ნებართვისათვის მოსაკრებელი გადაკეთდა გარე ვაჭრობის მოსაკრებლად.

2002 წლის აპრილიდან დაწესდა შეღავათები ელექტროენერგიაზე მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ინვალიდებზე (ზამთრის სეზონში 250 კვ. სთ. ზაფხულს—150 კვ. სთ).

ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ წარმოადგინა ცაგერის რაიონის პოლიციის უფროსმა მირიან მეშველიანმა.

ისაუბრეს ცაგერის ფოსტის უფროსმა გიზო მუშკუდიანმა, ენერგოგასაღების უფროსმა ზაურ ახვლედიანმა, რაისაავადმყოფოს მთავარმა ექიმმა მურმან თოთაძემ და სხვებმა.

დასასრულს ბატონმა ზურაბ ხეცურიანმა შეაჯამა სხდომის მუშაობა. მან დააფიქსირა, რომ ამ ეტაპზე სოფელ ლასურიაშში მეწყრიანობის დროს დაზარალებული მოსახლეობიდან დახმარების მიიღებს 21 ოჯახი, ისინი, რომელთაც დაენგრათ სახლები და იმყოფებიან სტიქიის ეპიცენტრში, თანხა გაიცემა და განიკარგება პრეზიდენტის ფონდიდან.

პრეზიდენტის ფონდიდანვე გამოიყოფა თანხა, რომელიც დაიხარჯება მძიმე ტექნიკის, კერძოდ „კამაცოს“ შესაძენად, აქვე გამოიყოფა თანხა, რომელიც ნაპირსამაგრი სამუშაობის ჩასატარებლად საწვავეში გამოიჯნება.

გამგებელმა თითოეული ხელმძღვანელის გამოსვლას გაუკეთა კომენტარი და მისცა სამომავლო დავალებები.

თამარ დავითულიანი

ახალი... ახალი... ახალი...

- ვეზიაროთ ეკლესიის უვიდ საიდუმლოს ⇨ გვ. 3
- მის პიროვნებაში მუვენივრად ჯდება მოცეკვავისა და პოლიციელის პროფესია ⇨ გვ. 2
- ნუ დაგვზარდება მხურვალე აპლოდისმენტები... ⇨ გვ. 4

დავით აღმაშენებელი

8 თებერვალს მთელმა საქართველომ იზეიმა დიდი დავითის ხსენების დღე

დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქის სახით თვისსა გამოვლილ გზაზე ქართველ კაცს რაღაც იმაზე მეტი დარჩა, ვიდრე ეს მხოლოდ დიდებული წარსული იყო. ვერც გლოვამ „წარსულს დროებზედ“, ვერც ამ გლოვის „აკრძალვამ“ ვერ მოანელებინა საქართველოს დარდი დავითისა და მისსავე სვემაღალ დროის, ვერ „ჩაბარა“ იგი ისტორიას, ვერ გადაუღოცა დიდებული მატიანეების ფურცლებს. დავითის შთამომავალ ქართველს არ აქვს უფლება ღირსეულ ცხოვრებით არ ცხოვრობდეს. ერთბაშად დიდი ქვეყანა არ შენდება, არც ჭეშმარიტი ერი ეალიბდება ერთბაშად, მაგრამ ქართველი ხალხის ღირსეულ შვილთა მიერ იმდენი ფიქრია დამწვარი ჭეშმარიტი გზების სანათლებად, იმდენი მიზეზია განჩხრეკილი და ცოდნა დაგროვილი, იმდენი წმიდა სისხლია დანთხეული და ოფლი დაღვრილი, დღენიადაგ გვაფრთხილებს, რომ ერის ღირსებანი მარადიულია, ერის წარსული დღევანდელობაა, სიამაყეა და უკეთესი მომავლის ნიშანსვეტია. ამ ნიშანსვეტზე ხვალინდელი საქართველოს ოცნებაა ასხმული და ქართველი ხალხის მოუსვენარი ფიქრი. ესაა დღენიადაგ რომ გვაბრუნებს წარსულში, წარსულის მდუმარ სამეაროში, სადაც აზრით საგზე მიზნითა და მიმართულებით განსივოსნებული ვნებები მდინარებს, სადაც დგას მრთელი წინაპარი. საწადელი ღიმილით, მადლიერი ხედვით, უძლიერეს სიმახვილით, გონების უკიდეგანო სივრცით და ჩვენ კარგად უნდა გვესმას მისი გულის ძახილი.

ჯანსუღ ღვინჯილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის პიროვნებაში მშვენივრად ჯდება მოცეკვავისა და პოლიციელის პროფესია

ინტერვიუ

მაშველთა კორპუსი—როგორც ჩვენ ვეძახით. არის ასეთი სამსახური ცაგერში. ზოგიერთის აზრით, საკმად ჩამყუდროებული, თბილი, ჩვენს სინამდვილეში მშვენიერი ანაზღაურებით. საქმე ისაა, რომ ამ სამსახურს უზარმაზარი მისია აკისრია—არცთუ იშვიათად. საკუთარი სიცოცხლის ფასად ჩვენს სიცოცხლეს იცავს, ჩვენს ჯანმრთელობას, ჩვენს უსაფრთხოებას.

დღევანდელი ნომრის სტუმარია საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში ბატონი **ვახტანგ კირკიტაძე.**

--რამდენიმე ძირითადი შტრიხი თქვენი ბიოგრაფიიდან.

--დავიბადე თერჯოლის 1960 წელს. სკოლა ზესტაფონში დავამთავრე. 1978-1980 წლებში გავიარე სამხედრო-სავალდებულო სამსახური. შემდეგ დაკავებული ვიყავი ცეკვით ანსამბლ „იმერეთში" (თერჯოლა). ეს გახლდათ მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი ანსამბლი, პირადადაც მიღებული მაქვს მსოფლიო ფესტივალის ლაურეატის წოდება.

შემდეგ ჩავერიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1990 წლიდან ვმუშაობ შინაგან საქმეთა ორგანოებში სხვადასხვა თანამდებობაზე.

1997 წლიდან დღემდე ვარ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში.

მყავს მეუღლე და ერთი ქალიშვილი.

--გმადლობთ. გადავიდეთ საქმეზე. როგორია თქვენი სამსახურის სპეციფიკა, სტრუქტურა...

--პრეზიდენტის ბრძანებულებით ყველა მხარეში შეიქმნა საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის შტაბები. ანალოგიური შეიქმნა რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთშიც. ჩვენი სამსახური მხარის ადმინისტრაციულ ცენტრში—ამბროლაურში უნდა განთავსებულიყო ტერიტორიულად, მაგრამ რაკი იქ შესაბამისი ბაზა არ აღმოჩნდა. გადმოვედით ცაგერში.

რთული და საპასუხისმგებლო სამსახური გვაქვს. იგი ითვალისწინებს მასობრივი, დიდმასშტაბიანი სტიქიური მოვლენების-ხანძრების, მეწყრის, წყალდიდობის, მიწისძვრის, დიდთოვლობის, ზვავებისა და სხვათა სამაშველო და სალიკვიდაციო სამუშაოებს. პოლიციური თვალსაზრისით ჩვენი მოვალეობაა ზედამხედველობა არ მოვაკლოთ იმ უბნებზე, სადაც ექსტრემალური პირობებია—არაფერი დაიკარგოს, არაფერი მოხდეს, დავიცვათ ადამიანები და მათი ქონება.

რაიონში სამოქალაქო თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციების უფროსი გახლავთ ბატონი გრიშა ჩიქოვანი. როდესაც ცხადდება სამაშველო სამსახურის მობილიზაცია, ადგილზე საგანგებო სიტუაციებს განაგებს რაიონის გამგებელი, მოადგილეა გრიშა ჩაქოვანი, მხარეში ხელმძღვანელობს გუბერნატორი და მოადგილე მე გახლავართ.

კადრებს რა პირიბიციპებით არჩევთ, რა კრიტერიუმებით?

28 საშტატო ერთეულს ვითვლით. ეს არის გასამხედროებული კონტინგენტი. კრიტერიუმები ასეთია: ვიღებთ 35 წლამდე ასაკისანს, აუცილებლად სამხედრო, სავალდებულო მოვლილს, არ უნდა იყოს ნასამართლევი არათუ თვითონ, ცოლის მხრიდანაც კი არავინ უნდა ჰყავდეს, ფიზიკურად, ბუნებრივია ჯანმრთელი და ძლიერი უნდა იყოს.

ამ ბოლო ხანებში ყველაზე ცხელი წერტილი ლასურიაში იყო. საზოგადოებამ დაინახა, რომ თქვენს მხრებზე გადაიარა მთელმა სიმძიმემ, რას გვეტყვით ამასთან დაკავშირებით.

27 იანვრის ღამე იყო. ასე 10 საათი იქნებოდა, შეტყობინება რომ მივიღეთ. 11-ს რაღაც წუთები აკლდა, რომ ადგილზე ვიყავით ხალხი პანიკაში იყო. გამგებელი იქ დაგვხვდა. მოსახლეობა სახლებიდან გამოვიყვანეთ. მათ ოჯახებს კი ჩვენ ვიცავდით. იმ ღამესვე განგაში ავტეხე ყველა ოფიციალურ დონეზე, დავუკავშირდით და გამოვედით რუსთავი-2-ზე, პირველ არხზე. აქვს ამას დიდი მნიშვნელობა.

დილის 10 საათზე ქუთაისელი კოლეგები შემოგვიერთდნენ—20-კაციანი ჯგუფი 2-ხიდიანი მანქანებით.

იმ დღეების დავიწყება, უბრალოდ, შეუძლებელია, ხალხის თვალები უნდა გენახათ—სასოწარკვეთილებს რა იმედი ჩაუდგათ, რომ მარტო არ იყვნენ ამ გასაჭირში. წუთიწუთზე იცლებოდა სახლები ისე, რომ ერთი ჭიქაც არ გატეხილა, ერთი ნემსიც არ დაკარგულა.

ჩვენი თავდადებული მუშაობა აღინიშნა კიდეც ოფიციალურ დონეზე-წარდგენილი ვარ შინაგან საქმეთა სამინისტროს მედალზე „უმწიკვლო სამსახურისათვის".

...თუმც არა ერთი ისევ ჭირქლებს: რას აკეთებენო დომინოს თამაშის მეტს. რას იზამ, ენას ძვალი არა აქვს (ელიმება).

კოლეგები შემოგვიერთდნენო, ახსენეთ. თქვენი სამოქმედო არეალიც სცდება ალბათ მხარის ფარგლებს. რას გაიხსენებდით?

ძალიან ბევრს. 98 წელს მთლიანი პირადი შემადგენლობა გალში წავედით იარაღით ხელში რამდენიმე დღის, ფაქტობრივად იქ ომი იყო.

ახლახანს 12 თებერვალს დაიმეწყრა სოფელი ჟოშა (ამბროლაურის რაიონი). 26 ოჯახს დაემუქრა საფრთხე, 6 ოჯახის ევაკუირება მოვახდინეთ;

ერთხელ დიდთოვლობის გამო სოფელ გლოლაში (ონის რაიონი) გამოგვიძახეს მაღალმთიანი სოფელია. ავედით მიტოვებული სახლების გადმოთოვლაზე ვიმუშავეთ, პროდუქტებით ავიტანეთ. მადლიერებისა და სიხარულის ნიშნად პირდაპირ ტიროდა ხალხი.

ისევ ონის რაიონის სოფელ საკაოდან მივიღეთ გამოძახება ღამის 4 საათზე. უცებ შევადგინეთ ჯგუფი და წავედით. თურმე ტურისტები მთის დალაშქრისას ხევში გადაჩეხილიყვნენ. გათენებისას ადგილზე ვიყავით. თბილისელ კოლეგებს მივასწარით. საშინელი ყინვა იდგა. გათოშილ-გალურჯებულმა ჩვენმა ბიჭებმა ტურისტები ამოიყვანეს, 30 კილომეტრზე ტყე-ღრეში ცხენითა და ფეხით ატარეს და სამშვიდობოს ჩამოიყვანეს. როცა ყველაფერი კარგად დამთავრდა, რით ეცათ პატივი, აღარ იცოდნენ, ხარი დაკლეს, მშობლებმა ფულიც კი შემოგვთავაზეს, ჩვენ ამაზე ერთი ამბავი ავტეხეთ.

კურიოზებიც გვხვდებათ ალბათ.

რამდენიც გნებავთ. ერთხელ ლენტეხს ზევით რომ სოფელია, რა ჰქვია იმას?

(ბაბილი, პასუხობენ ბიჭები, რომლებიც უჩუმრად შემოგვმატნენ და თანდათან ჩაერთნენ საუბარში).

ჰოდა, იქ მეწყერმა მთლიანად მოწყვეტა გზა რაიონულ ცენტრს, ფეხითაც ვერ მიმოდიოდნენ, წავედით და თოხებით და ბარებით გავხსენით გზა.

კურიოზი არ იყო პარლამენტის წინა არჩევნებისას ორბელის წვერზე რომ მეწყერი ჩამოწვა, ჩირაღდნებით გავანათეთ იქაურობა და თოკებით გადმოგვყავდა ხალხი.

და მაინც რა გრძნობაა, როცა ხახადალებული მეწყერი მოგდევს, არ აბობოქრებული ტალღებში სხვის გადასარჩენად უნდა გადაეშვა, რას ფიქრობთ ამ დროს?

შიში, რასაც თქვენ გულისხმობთ ნამდვილად არ არსებობს. მხოლოდ ერთი გრძნობაა—უშველო, გადაარჩინო. იქნებ არ დაიჯეროთ? ექსტრემალურ სიტუაციებში, ერთი შეხედვით, ეს უწყინარი ბიჭები, რა თავგანწირვას იჩენენ, ყველა გარბის, ყველას უნდა წყალში ჩახტეს.

თქვენი სამუშაო პირობები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პრობლემები.

ამ თანამდებობაზე რომ მოვედი, მხოლოდ ერთი ოთახი დამხვდა. 3 თვე სკამზე თითქმის არ დავმჯდარვარ. შევქმენით მთლიანი საშტატო ერთეული. თითოეულ კადრს ვათანხმებდით პოლიციასთან. ეს გასამხედროებული გუნდია მკაცრი რეჟიმით. ჩვენთან სხვანაირი ბრძანებები იწერება, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს. ბევრმა ვერ გაუძლო დატვირთვას. მე ვურჩიე, წაბრძანდით სამოქალაქო სამსახურში და იყავით მშვიდად-მეთქი. დესპოტიც კი მიწოდეს, მაგრამ ვარ თუ არა დესპოტი, ამ ბიჭებს ჰკითხეთ. მათ უკვე ძალიან შევაჩვიე, თითქოს ერთად გაზრდილები ვიყოთ. თითოეულის ხასიათი ზედმიწევნით ვიცი. ვიცი თავიდან ძალიან ავღელდებოდი, იყო მცდელობა წავსულიყავი, მაგრამ გადავლახე. ბევრი რამ ვისწავლე ბატონი გრიშასაგანაც.არ გვყოფნის ფართი, მოადგილეებს სამუშაო კაბინეტები არ აქვთ, ელემენტარული დოკუმენტების კარადაც.

რაც შეეხება ტრანსპორტს, გვყავს მხოლოდ „ვოლგა" და „ვილისი". მით უფრო ვოლგა ვერ ჯდება ჩვენს სპეციფიკაში. ერთხელ ხონის რაიონში ხანძრის ლოკალიზებაზე გამოგვიძახეს და მანქანა თავად ჩვენ მიგვყავდა ხელით(?!) გადაუდებლად გვესაჭიროება ერთი ორხირდიანი მანქანა. ამის თაობაზე ოფიციალური მოთხოვნა დავაყენეთ გუბერნატორთან.

მოძველდა და მწყობრიდან გამოვიდა რაციები. 2 მობილური მოგვიხსნიდა პრობლემებს. თუ სამხარეო და რაიონის ხელმძღვანელობა გაგვიწევენ დახმარებას, უდიდესი სიკეთე იქნება, მით უფრო ეს დიდ ფინანსებთან არ არის დაკავშირებული.

როგორია მაშველთა შრომის ანაზღაურება და იღებთ თუ არა ხელფასებს თავისდროულად?

რიგითების ხელფასი 80-85 ლარია, ოფიცრების—100-120 ლარი წოდებებისა და სტაჟის მიხედვით. ასე თუ ისე, ვღებულობთ, მხოლოდ წინა წლების დავალიანებაა დაუფარავი.

ალბათ, საჭიროა ადამიანებმა მეტი იცოდნენ საკუთარი უსაფრთხოების და დაცვის მიზნით. რა მუშაობას ეწევით ამ მიმართებით, ვგულისხმობს ინტრუქტაჟებს, კონსულტაციებს, სწავლებას და ა.შ.

მიგიხვდით. ჩვენ აუცილებლად აღვადგენთ პრაქტიკას გამოვიღეთ ფართო აუდიტორიის წინაშე. წერილებით კონსულტაციებით. რაც შეეხება სიახლეს, სკოლებში შემოღებულია უსაფრთხოების სწავლება.

რაც შეეხება რაიონში მოქმედ ტექნიკური უნივერსიტეტის მოსამზადებელ განყოფილებას და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის ფილიალს, დასმულია საკითხი ისწავლებოდეს საგანი „სამოქალაქო თავდაცვა".

ბატონო ვახტანგ! როგორც იმერელი კაცი, ასე რომ ვთქვათ, სტუმარი, როგორ უყურებთ ლეჩხუმს, მის საზოგადოებას, როგორ შეეთვისეთ ღმერთმა ხელი მოგიმართოთ--წინ ბევრი რამ გელით, რა გაგყვებათ ლეჩხუმიდან, დაგწყდებათ თუ არა გული?

შემოთავაზებები იყო და ახლაც არის. მაგრამ ჯერ ვერ მივდივარ. სამსახურსაც შევეჩვიე და ვგრძნობ, რომ ხალხსაც ვუყვარვარ. თბილი ხალხია, სტუმართმოყვარე, ალბათ, ნოსტალგია დიდხანს გამყვება. მაგრამ ერთმანეთისადმი მეტ ადამიანურ ერთიერთობას, მიმტევებლობას, შენდობას ვუსურვებდი. ლეჩხუმლებში ამას მე უფრო ნათლად ვხედავ, როგორც მოსული კაცი.

თქვენ ხელოვანის საოცნებო, საინტერესო გზა, არც მეტი, არც ნაკლები, პოლიციელის მუნდირზე გაცვალეთ. რა იყო ეს-ბედი ირონია, შემთხვევითობა, სარფიანი პროფესიისაკენ ლტოლვა თუ...

ეს საინტერესო ისტორიაა. დიახ, ცეკვა იყო და არის ჩემი ცხოვრების ნაწილი. მაგრამ... ბიძაჩემი მუშაობდა საგზაო პოლიციის, უფროსად საოცარი კაცი იყო და არის, მართლაც კაცი, ვაჟკაცი, კარგი პროფესიონალი. სულ თან დავყავდი და მერე როცა იურიდიულზე პროფილით მუშაობა მომთხოვეს და ბიძაჩემის მოადგილის ვაკანსია გაჩნდა კაცის გვერდით, რომელიც ჩემი იდეალი იყო, სიამოვნებით დავიწყე მუშაობა.

აი, ასე მოვედი ცეკვიდან პოლიციაში, და ეს ორი პროფესია მშვენივრად ჯდება ჩემში, მავსებს როგორც პიროვნებას, როგორც ხელმძღვანელს, როგორც ადამიანს.

* * *

სიამოვნებით მოვათვალიერე შტაბის კაბინეტ-სათავსოები. წესრიგი, სისუფთავე, სილამაზე და რაც მთავარია დისციპლინა, ისიც სამხედრო რანგში აყვანილი, რაც აგრერიგად მომხვდა თვალში და რაც ასე მოგვნატრებია.

...და მე ვირწმუნე მაშველთა გუნდის ხელმძღვანელის, ამ ახალგაზრდა კაცისა და მისი ბიჭების შემართება, ვირწმუნე, რომ მათ შეუძლიათ მთებიც კი შეძრან.

ზეზვინარ ძნელაძე

ჩვენ გვწერენ

გმადლობთ!

ჩემი ბატარა შვილიშვილი, 3 წლის ელენე თითქმის დაბადებიდან ჩემთან იზრდება. ბავშვს დიდი ხანია ასთმური შეტევები აწუხებს და მისი ჯანმრთელობა საფუძვლიან გამოკვლევასა და მკურნალობას მოითხოვს, რისი საშუალებაც მე არ გამაჩნია.

დასახმარებლად ბევრს მივმართე, მაგრამ დღემდე გულთან არავის მიუტანია ჩემი მდგომარეობა.

21 თებერვალს რაიონის გამგებელი, ბატონი ზურაბ ხეცურიანიც შევაწუხე, მან თბილად მიმიღო, მომისმინა, იმედი მომცა და შესაძლებლობის ფარგლებში თანხის გამოყოფასაც შემპირდა. თანხაც რომ არა, მე მაინც კმაყოფილი დავრჩებოდი ჩემს მიმართ გამოჩენილი დიდი თანაგრძობისა და ყურადღებისათვის, რისთვისაც ბატონ ზურაბს უღრმეს მადლობას ვუხდი.

თამარ კუხიანიძე-კობალიანი

რალიგია და ჩვენ

მკითხველისათვის ცნობილია, რომ ჩვენი გაზეთის ყოველ ნომერში გვაქვს საუბარი სხვადასხვა ქრისტიანულ დღესასწაულებზე, თვით ქრისტიანობაზე, მარხვაზე... ამჯერად, შევეცდებით მართლმადიდებლური ეკლესიის შვიდ საიდუმლოს გაბიაროთ. პირველად ნათლისღების საიდუმლოთი დავიწყებთ, რამეთუ „ნათლისღებით ძველი სჯული დასრულდა და დასაბამი ახალმა მიიღო, რადგან ღმერთი გამოჩნდა და მადლი გამობრწყინდა, წყლის განწმენდილ ბუნებაში მადლი დაინერგა. იესო ქრისტემ წყლით და სულიწმინდით ამ ცხოვრების ცოდვებისაგან დაძველებული კაცის ბუნება განაახლა და პირველქმნილი ადამი კრულებისაგან გახსნა“ (იოანე დამასკელი)

მასალის მომზადებაში დაგვეხმარა ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის მოძღვარი არქიმანდრიტი ანგონი, რომელსაც არაერთხელ აღუელენია ნათლობის, ქორწინების, ზიარების თუ სხვა საიდუმლო. მამა ანგონმა გვთხოვა მიგვეთითებინა, რომ ეპისკოპოს ალექსანდრეს (სემიონოვ-გიან-მანსკი) მართლმადიდებლური კაგეხიზმოდან იხელმძღვანელა.

ნათლისღების საიდუმლო

ნათლისღება არის საიდუმლო, რომელშიც მორწმუნე წყალში სამგზის შთასვლისა და მისი მნათლავის მიერ ყოვლადწმინდა სამების, მამის, ძისა და სულიწმიდის სახელის მოწოდების დროს, ხორციელი, ცოდვილი ცხოვრებისათვის კვდება და სულიწმიდის მიერ სულიერ და წმიდა ცხოვრებაში აღდგება. ამით ახლადმონათლული ეკლესიაში შედის და მისი წევრი ხდება.

უკვე თვით ნათლისღების საიდუმლოს განსაზღვრება მეტყველებს იმაზე, რომ იგი ადამიანის ცხოვრებაში ძირეულ გარდატეხასთანაა დაკავშირებული. ქრისტიანად გახდომა მხოლოდ მრწამსის ან თუნდაც ცხოვრების წესის შეცვლას არ ნიშნავს, იგი სრულ გარდაქმნას, ახალ ადამიანად გადაქცევას გულისხმობს. უფლის სიტყვები, რომ მარცვალი ისე ვერ გაცოცხლდება, თუ არ მოკვდა (იოანე 12,24) ანდა „რომელმან არა აღიღოს ჯუარი თჳისი... ვერ ხელ—ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა“ (ლკ. 14,27), ან კიდევ ნიკოდიმოსისათვის ნათქვამი: „უკეთუ ვინმე არა იშვეს წყალისაგან და სულისა, ვერ ხელ-ეწიფების შესვლად სასუფეველსა ღმრთისასა“ (იოანე 3,5). აუხდენელი არ რჩება. ხშირად ისტორიამ, ისევე როგორც ქრისტიანობის ისტორიამ, დაწყებული პავლე მოციქულით, მრავალი მაგალითი იცის, როცა ქრისტეს მორწმუნენი და შემდეგ ნათელღებულნი მართლაც ახალ ადამიანებად იქცეოდნენ.

სულიერი დაბადება იმას ნიშნავს, რომ ადამიანი წყვეტს ცხოვრებას თავისთვის და ცხოვრებას ქრისტესა და სხვა ადამიანებისათვის იწყებს. მოუპოვებს-რა ამ დროს სრულ ცხოვრებას თავისთავსაც. ქრისტესკენ მოქცევა სავსებით ცვლის ინტერესების ცენტრს. ასეთი მოქცევა ზოგჯერ მკვეთრია, ზოგჯერ თანდათანობითი. მოზრდილთა ნათლისღება მათში მომხდარი სულიერი გარდატეხის შედეგია და საიდუმლოს მადლი აკურთხებს და განმატკიცებს მას, ხოლო ბავშვების მონათვლისას, თუმცა მათ ჯერ კიდევ არა აქვთ შეგნებული რწმენა, მათში მადლიანი ცხოვრების თესლი ჩაითესება, რომელსაც შემდგომში, სათანადო ქრისტიანული აღზრდის პირობებში, მონათლულის სრულ გარდაქმნამდე მივყავართ.

ნათლობის ღირსეული მიღებისათვის საჭიროა რწმენა და სრული სინანული, უარის თქმა უწინდელ თავკერძა ცხოვრებაზე, მისი ბოროტი სულების მოქმედებასთან კავშირის ცნობით და მათგან, განდგომით. ჩვილ ბავშვთა მონათვლა დიდი ხნის წინათ დაიწყეს. მათგან რასაკვირველია, არ უნდა ველოდეთ რწმენას და სინანულს, მაგრამ მათ ნათლავენ მშობლებისა და ნათლიების რწმენის ძალით, რომელთაც აკისრიათ წმიდა მოვალეობა—„შეასწავლონ მონათლულთ სარწმუნოების ჭეშმარიტებანი და დაეხმარონ მათ ახალი ცხოვრების განახლებაში. ჩვენ ვლოცულობთ ბავშვებისათვის და გვწამს, ჩვენი ლოცვის მიხედვით უფალს შეუძლია მათ სხვადასხვა წყალობა მიჰმადლოს. განა

ვეზიარეთ ეკლესიის შვიდ საიდუმლოს

შეიძლება იმაში დაეჭვება, რომ მთელი ეკლესიის ლოცვით ნათლისღების საიდუმლოს აღსრულებისას ბავშვთათვის მინიჭებული მადლი სათანადო ნაყოფს გამოიღებს? ჩვენ ვიცით, რომ თვითონ უფალი უშვებდა ბავშვებს თავისთან (ლკ. 18,15-16) წმინდა იოანე ნათლისმცემელმა ჯერ კიდევ დედის წიაღში ადიდა უფალი. მადლი მოქმედებს ადამიანის ქვეცნობიერებაზეც.

ამავე დროს ყველა ქრისტიანს უნდა ახსოვდეს, რომ ნათლისღების საიდუმლოში ბოძებული ტალანტი, საწინდარი ახალი ცხოვრებისა, პირადი ძალისხმევით, ზოგჯერ კი მთელი ცხოვრების ღვაწლით მრავლდება. სხვა სიტყვებით, ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ ნათლობისას მიცემული აღთქმები. მიუხედავად ამისა, წმინდა ნათლობის მიღებისთანავე მონათლულში წარუშლელი ცვლილებები ხდება. იგი თავისუფლდება პირველყოფილი ცოდვის ტყვეობიდან და მისი გულიდან ეშმაკი განიდევნება, თუმცა ეშმაკს რჩება ცდუნების შესაძლებლობა, მაგრამ იგი თითქოს უცხო ხდება ადამიანისათვის. მოუნათლავ ადამიანს პირველყოფილი ცოდვის ძალით, არსებითად არ შეუძლია არ შესცოდოს, მონათლულს კი, თუმც შესაძლებელია შესცოდოს, საიმისო ძალაც შესწევს, რომ არ სცოდავდეს.

ნათლისღების საიდუმლოს შესრულება

ნათლისღება არის ადამიანის ეკლესიის წევრად ჩარიცხვის საიდუმლო, ქრისტეს ძალით მისი მამა ღმერთის შვილად ქცევის გზით. ამგვარად, ნათლობა ეკლესიის საერთო საქმეა და ზეიმია. ძველ დროში უფრო ხშირად მას უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულს—წმიდა პასექს უკავშირებდნენ. ტაძარშივე ხდებოდა მზადება ნათლობისათვის და სარწმუნოების შესწავლა ანუ კათაკმევლობა.

ჩვენს დროში ნათლისღებისათვის მოსამზადებლებზე, ეს ზოგადად ეკლესიის ზრუნვა მხოლოდ კათაკმეველთა ლიტურგიაში, მათთვის აღვლენილ ლოცვებში შემორჩა. პასექის დღეს ნათლობის გამართვის ძველ ჩვეულებას ახლა იკოსის კითხვა და დიდი შაბათის მსახურების ზოგი თავისებურებაღა თუ მოგვაგონებს. ნათლისღების საიდუმლომ თანდათანობით კერძო საოჯახო მოთხოვნილების ხასიათი შეიძინა, მაგრამ, რა თქმა უნდა, მისი ზოგადსაეკლესიო და პასქალიური მნიშვნელობაც შენარჩუნებულა და მღვდლები ამის შესახებ ისევე, როგორც ნათლიების (მოწმეთა) ხშირად მივიწყებულ პასუხიმგებლობაზე მუდმივად უნდა მოაგონებდნენ „კათაკმევლად დაყენება“, როგორც ნათლისღებისათვის მზადების დამამთავრებელი აქტი, რომელიც წინათ ცალკე წესად სრულდებოდა, ახლა უშუალოდ წინ უსწრებს ნათლობას. ამ წესის მთელ სიმბოლურ მღვდელმოქმედებას ღრმა ქმედითი მნიშვნელობა აქვს. მათგან ყველაზე არსებითია: ეშმაკის შეფუცება, მასზე უარის თქმა, ქრისტეს შედგომის აღთქმა და ბოლოს, მართლმადიდებლური სარწმუნოების აღიარება. ქრისტიანებმა პირადი სულიერი გამოცდილებით იციან, თუ რა დიდია ბოროტების მატარებელი ეშმაკის ძალა, რომელიც სიკეთეს აქტიურად ებრძვის. სატანის შეფუცება უფლის სიტყვების მიხდვით: „სახელითა ჩემით ეშმაკთა განასხმიდენ“ (მარკ. 16,17) მოსანათლს აწ უკვე მისგან განშორებულ მტერთან ბრძოლაში ჩაბმის შესაძლებლობას აძლევს, ხოლო შემდგომი უარის თქმა სატანაზე მის გამოწვევას ნიშნავს. ამ მომენტიდან მოსანათლი უკვე ქრისტეს მხედარი ხდება და ბოროტ სულს სიკვდილამდე ებრძვის, რომელიც თავის მხრივ ამ გამოწვევას არ ივიწყებს და სასტიკად ებრძვის ქრისტიანს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. ყველი ჩვენგანის ნაცვლად ეს ბრძოლა უკვე გასწია ღმერთ-კაცმა იესო ქრისტემ და იგი მისი სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა. ამიტომ, თუმც უფალმა თქვა: „გეშინოდეთ მისა..., რომელი შემძლებელ არს სულისა და ხორცთა წარწყმედად გეჰენიასა შინა“ (მათე 10,28). ქრისტიანს, რომელსაც შემწედ თვით მძლე უფალი ჰყავს, არასოდეს არ უნდა წარეკვეთოს სასო თავის სულიერ ბრძოლაში.

სიმბოლო სარწმუნეობისა ყველა ქრისტიანულ ჭეშმარიტებას შეიცავს, რომელიც კი ადამიანებმა ძველად, ნათლისღებამდე იცოდნენ, ჩვენს დროში კი, ჩვეულებრივ, ნათლისღების შემდეგ საღვთო სჯულის კურსში შეისწავლება. პასუხისმგებლობას ამ შესწავლისათვის თავის თავზე ნათლიები იღებენ და ისინი უმძიმეს ცოდვას სჩადიან, თუკი ამას დაივიწყებენ.

თვით ნათლისღების საიდუმლო წყლისა და ზეთის კურთხევაში ნაკურთხი ზეთის ცხებასა და ბოლოს, ყველაზე მთავარ მღვდელმოქმედებაში—მოსანათლის წყალში სამგზის შთაფლვაში სიტყვებით: „ნათელს იღებს მონა ღვთისა (მისი სახელი) სახელითა მამისათა. ამინ. და ძისათა ამინ და სულისა წმიდისათა. ამინ“—მდგომარეობს.

იორდანეში ჩასვლით უფალმა იესო ქრისტემ წყალიცა და მასთან ერთად სამყაროს ყველა სტიქია და საერთოდ, მატერია აკურთხა. ამ მოვლენის შემდეგ მთელმა ბუნებამ კვლავ შეიძინა ძალა მადლისმიერი ნიჭთა მიღებისა და გარკვეულწილად მადლის შენახვისა. ამაშია წყლისა და სხვა სტიქიათა და საგანთა კურთხევის საფუძველი. წყალი ძველთაგან იყო განწმენდის, ხოლო მასში შთაფვლა—სინანულის სიმბოლო. ამასთანავე, როგორც სიცოცხლისათვის აუცილებელი, იგი სიცოცხლის სიმბოლოც იყო. აირჩია რა წყალი ნათლობის საიდუმლოს აღსრულებისათვის, უფალმა მასთან დაკავშირებულ სიმბოლოებსაც ქმედითი ძალა მიანიჭა.

კირილე იერუსალიმელის თქმით, კურთხევის შემდეგ მოსანათლისათვის წყალი „კუბოდ და დედად“ იქცევა. კუბოდ იმიტომ, რომ ემბაზში ჩასვლითი ადამიანი მსგავსებით უერთდება ქრისტეს სიკვდილს, დედად იმიტომ, რომ ნათვლით სიკვდილში მისი ხელახალი დაბადება ხდება.

ნაკურთხი ზეთი, რომელიც საიდუმლოს დროს ჯერ წყალს, ხოლო შემდეგ მოსანათლს ეცხება, განკურნებისა და სიჯანსაღის, შერიგების და მშვიდობის სიმბოლოა. სანთლები მართალი სარწმუნოების ნათელს გამოხატავს, საკმეველი—სული წმიდის კეთილსურნელებას, ახლადმონათლულის თეთრი სამოსელი—ცოდვისა და სატანის ტყვეობიდან განთავისუფლებულ ახალ ცხოვრებას ანუ ქრისტიანის სულს, რომელიც მან უმწიკვლოდ უნდა დაიცვას, დაბოლოს, სატარებელი ჯვარი—ქრისტეს მიმდევრობისა და მისი გამარჯვების რწმენის გამომხატველია.

უკიდურესი გასაჭირის შემთხვევაში ნათლობის შესრულება ყოველ მართლმადიდებელ ქრისტიანს „სამეუფო სამღვდელოების“, ესე იგი ეკლესიისადმი კუთვნილების ძალით ყველაზე უბრალო შთაფვლით (ანდა სხურებითაც კი) და მოსანთლის სიტყვების წარმოთქმითაც შეუძლია.

წმიდა ეკლესიამ იცის აგრეთვე სისხლით ნათლისღებაც, როცა ადამიანი, რომელმაც ვერ მოასწრო მონათვლა, ქრისტესადმი თავის ერთგულებას მოწამებრივი სიკვდილით აღბეჭდავს.

ვფიქრობ ამ განმარტებამ, რომელიც მამა ანტონის დახმარებით „კატეხიზმოდან“ მოგაწოდეთ სრული წარმოდგენა შეგიქმნათ ნათლისღების საიდუმლოზე. ნათლისღება ყველა მონათლული ქრისტიანისათვის ნაცნობი რიტუალია, მაგრამ ცოტა თუ იცნობს მის სრულ შინაარსს.

ამრიგად, რადგან გადარჩენისათვის სხვა გზა არ არსებობს, ამიტომ განურჩევლად ყველა უნდა მოინათლოს, რადგან იესო ქრისტემ მოწაფეებს ასე მოუწოდა: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელს სცემდით მათ სახელისა მამისა ჯთა და ძისა ჯთა და სულისა წმინდისა ჯთა, რომელსა ჰრწმენეს და ნათელიღოს, ცხოვნდეს. (მათე 28,19; მარკ. 16,16)

თამარ დავითულიანი

ცაგერის საშუალო სკოლის დირექტორი

ლამაზი სალამო... გერმანულ ენაზე

წინასწარვე მინდა გითხრათ: ღონისძიება, რომელიც ცაგერის საშუალო სკოლაში ჯერ კიდევ იანვრის დასაწყისში ჩატარდა, მაგრამ დამეთანხმებით, ქრისტეშობის თემა აროდეს მოძველდება მართმადიდებელთათვის. სწორედ ამ უდიდეს დღეს მიეძღვნა ეს საოცრად ლამაზი ღონისძიება. განსაკუთრებით ლამაზი კი ის იყო, რომ ეს დღე ღვთისმშობლის სამხელიანი ხატის გადმოსვენებას დაემთხვა.

ცაგერის საშუალო სკოლის მოსწავლეები გერმანულ ენაზე გადმოსცემდნენ თავიანთ განცდებსა და აზრებს. „წმინდა ხარ“, ბიბლიიდან ზოგიერთი ამონარიდი, „ქრისტეშობის თვეო“ და სხვა, იკითხებოდა გერმანულად და ისინიც, ვისაც ამ ენის არაფერი გაეგებოდა, ყურადღებით ისმენდნენ, რადგან ქრისტეს ენა ყველას ენაა.

ღონისძიების შემოქმედნი იყვნენ ცაგერის საშუალო სკოლის დირექტორი ქალბატონი ნუნუ ჩაკვეტაძე და გერმანული ენის მასწავლებლები, ქალბატონები იზო ხვადაგიანი და მარინე ბურჯალიანი. საღამოს ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოს მეუფე სტეფანესთან ერთად სამღვდელოების სხვა პირებიც ესწრებოდნენ. მათ დიდი შეფასება მისცეს ბავშვთა და პედაგოგთა ნამუშევარს.

დასასრულს, მრავალეროვანი ფონზე მუხრან მაჭავარიანის „მზე ამოდიოდა“ იკითხებოდა. გამობარი გულები გაჰყვა ყველას ამ ლამაზი საღამოდან.

მარინა სვანაძე

სამხატვრო სკოლა: ლეგენდა ხელოვნებისკენ და პრობლემები...

ბევრგან მსმენია ხატვის სწავლა შეიძლებაო. მე არ ვეთანხმები ამ მოსაზრებას, რადგან ხელოვნების ამ დარგს რომ დაეუფლო, ციური ნიჭით დაჯილდოებული უნდა იყო. გურამ დოჩანაშვილისა არ იყოს—„ერთი განზომილებით მაღლა უნდა იდგე ჩვეულებრივი ადამიანისაგან განსხვავებით“. ასეთი გახლავთ ჩვენი რესპოდენტი, მხატვარი გია ლეთოდიანი, რომელიც ცაგერის სამხატვრო სკოლას 1999 წლიდან ხელმძღვანელობს. ჩვენი საუბარი სურათების გალერეის ერთ-ერთ ოთახში შედგა, იქ, სადაც რამდენიმე წელია შეხიზნულნი არიან, რადგან, ფაქტობრივად, სამხატვრო სკოლა ნგრევის პირასაა მისული. „უზომოდ მადლიერნი ვართ ქალბატონ მაგული ღურჭუმალიძის, რომელმაც შეგვიფარა, რამდენიმე ოთახი გამოგვიყო სამუშაოდ და ყველაფერს აკეთებს, რომ ნორმალური მუშაობის პირობები შეგვიქმნას“—გვიხსნის გია.

ცაგერის სამხატვრო სკოლა დიდი ტრადიციების მატარებელია. აქ მხატვრობას დაუფლებულმა ბევრმა აღსაზრდელმა სწავლა თბილისის სამხატვრო აკადემიაში გააგრძელა და პროფესიონალ მხატვრებად ჩამოყალიბდნენ. ესენი გახლავთ: რატი ხეცურიანი, ზაზა მეშველიანი, დათო შუბულიანი, თემურ ჭილვარია. დღეს კი სკოლა ავარიულ მდგომარეობაში იმყოფება. შე-

დასასრული მე-5 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ დავგვიანდება მხატვარ-აპოლისმენტები...

ცხოვრობს ლეჩხუმში ერთი საოცრად ლამაზი, ახალგაზრდა ოჯახი. მისი წევრები მოკრძალებული ნაბიჯებით დადიან ჩვენი ქალაქის ქუჩებში და თავიანთ არსებობას მხოლოდ მაშინ შეგვახსენებენ, როცა ესთეტიკურ სილამაზეს მოწყურებულნი მათ სანახავად რომელიმე კულტურულ ღონისძიებაზე აღმოვჩნდებით.

ნატო სილაგაძისა და საშურა გოგიძის ოჯახი სიყვარულით შექმნილა და დღესაც ამ სიყვარულით სულდგმულობს. ნატო ჯერ კიდევ სკოლის პერიოდიდანვე გამოირჩეოდა მსახიობის მონაცემებით. ახალსკოლადამთავრებულს, რაიონის ბიბლიოთეკებს შორის გამართულ დეკლამატორთა კონკურსზე, ისე შთამბეჭდავად წაუკითხავს ლექსი, რომ ჭეშმარიტად ხელოვანის, აწგანსვენებული სახელოვანი ლეჩხუმელის ბორის ხეცურიანის ყურადღება მიუქცევია. „რას აპირებო!“—უკითხავს ბატონ ბორიას გოგონასთვის და ამ უკანასკნელსაც გულახდილად გაუმხელია თეატრალურზე ჩაბარების სურვილი რომ წვავდა.—„მე წაგიყვან, მე ჩაგაბარებიებ, შვილივით მეყოლებიო“. ამის შემდეგ ჩაუყლაპავს ნატოს სცენის ჯადოსნური მტვერი. ძალიან დიდიაო ბატონი ბორისის დამსახურება ჩემი ცხოვრება ამ გზით რომ წარიმართაო—ტკბილად იხსენებს იმ წლებს და კულტურის სახლში სტაჟისთვის მისული საშურა (ალექსანდრე) გოგიძეს გაიცნობს, რომელსაც სატრაბახო ნამდვილად ბევრი ჰქონდა—მამა ალეკო გოგიძე წინა თაობის ლეჩხუმელთათვის ნაცნობი პერსონაა. ცაგერის სახალხო თეატრში ოთხმოცდაათამდე როლი აქვს ნათამაშები, გარდა ამისა მისი მუსიკალური მონაცემებით თურმე ბევრი გაოცებულიც რჩებოდა. საშურას ბაბუას, არდევან გოგიძეს კი რაიონში ცნობილი მოცეკვავის სახელი ჰქონდა. შვილიშვილი კი შესანიშნავად აგრძელებდა გენურ ტრადიციებს და თავისი ლამაზი არაჩვეულებრივი ხმით ატკბობდა მსმენელს.

მოკლედ, ხელოვნებას შეყვარებულ ნატო სილაგაძე ასევე ხელოვნებას შეყვარებულ საშურა გოგიძეზე ხდება შეყვარებული და 1980 წელს ოჯახიც შეიქმნა. ნატო დღესაც სინანულით იხსენებს თავის განუხორციელებ ოცნებას—თეატრალურზე მაინც ვერ მოვხვდიო. გათხოვების შემდეგაც არ დაუკარგავს თურმე იქ ჩაბარების იმედი, მაგრამ „ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმეს განა?“—პირველი დიდი ტრაგედია სიყვარულის ნაყოფი, ცხრა თვის მერცხალთვალება გოგონა მოულოდნელად დაეღუპათ. თვალცრემლიანი იხსენებენ და ნატო ფოტოებს ათრთოლებული დედის ხელებით მაწვდის. სწორედ ამან ათქმევინა მას ჩემთან საუბარში—„ქალს, რომელმაც ნახა განცდა იმისა, რასაც შვილის დაკარგვა ჰქვია, არა აქვს უფლება თავს ბედნიერი უწოდოს“. ეს თქვა და თითქოს სატკივარიც იქვე გაყინა და შეინახა.

...შემდეგ პირველი ბიჭი ვახო გაჩნდა, ამას გიორგიც მიემატა. ნატო მეუღლეს უმადლის, რომ კვლავ ხელოვნებას დაუბრუნდა და ცხოვრებაც თავის კალაპოტში ჩადგა. „ღმერთმა ტრაგედიის საფასურად დამაჯილდოვა კიდევ—ის, რაც მე აუსრულებელ ოცნებად მექცა, აისრულეს ჩემმა შვილებმა“. ორივე ვაჟი დიდი ნიჭიერებით გამოირჩევა. ამაზე ცოტა ქვემოთ.

ნატოსა და მისი მეუღლის ცხოვრებაში იწყება აქტიური შემოქმედების პერიოდი, და რაოდენ გასაკვირად არ უნდა მოგეჩვენოთ, ეს ხდება ყბადაღებული „უძრაობის“ დროს. დიდი შრომისა და ღამეების თევის ფასად შეიქმნა საინტერესო სახეები სპექტაკლებში—„ქორწილი წყნეთში“, „შთამომავლობა“ (ლამარა), „კატასტროფა“ (ასმათი), „ადამიანი იბადება ერთხელ“, „დიდი ზარი“ და სხვა მრავალი.

საშურა სპექტაკლების მუსიკალურ გაფორმებებში მონაწილეობდა, კონცერტებზე გამოდიოდა. იგი იმდენად სიტყვაძვირი აღმოჩნდა, რომ, ფაქტობრივად, ნატოს კისერზე გადაიარა ჩვენმა საუბარმა. ერთადერთი, რაშიდაც საშურამ სიტყვაუხვობა არ დაიშურა, ცაგერელ მაყურებლის შეფასება იყო: „ძალიან დიდია მაყურებლის როლი ხელოვანის ცხოვრებაში, თითოეული გამოსვლა მთლიანად მასზეა დამოკიდებული. ძალიან იშვიათად ნახავთ ისეთი მაღალი დონის მაყურებელს, ჩვენთან რომ არის. ჩვენც შესაბამისად მის წინაშე უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობთ. სიმღერა კი ყოველთვის გრძნობით ვმღერი, რაც არ მომწონს, არც ვიმღერებ“.

ნატოს დეკლამატორის ნიჭი, როგორც გითხარით, ბავშვობიდან აღმოაჩნდა: „ძალიან მიყვარს ლადო ასათიანის პოეზია, მაგრამ იმდენად მიუწვდომელი მეგონა, გვიან დავიწყე მისი წაკითხვა. მახსოვს, ერთხელ კულტურის სახლში კინოფილმ „დათა თუთაშხიას“ შემოქმედებით კოლექტივთან იყო შეხვედრა. საპატიო სტუმრებში ოთარ მეღვინეთუხუცესი, ზურაბ ქაფიანიძე და სხვა გამოჩენილი მსახიობები ისხდნენ. მე ლადოს „ბარდნალა“ უნდა წამეკითხა. თითქოს ყველაფერი რიგზეა, ლექსიც ზეპირად ვიცი, მაგრამ ვერ გავბედე და წიგნი თან გავიტანე მიკროფონთან. საღამოს დამთავრების შემდეგ კულისებში ჩემსკენ ზურაბ ქაფიანიძე გამოემართა და ხმამაღლა მითხრა: „გოგო! რა კარგი იყო შენი „ბარდნალა“, მაგრამ კარგი იყო ზეპირად გეთქვაო!“

ხშირად თურმე ისეთი რამის წაკითხვაც უწევდა, რომლის შინაარსი მთლად კარგად არც ესმოდა, მაგრამ ეს სცენაზე არავის უნდა დაენახა, ამიტომ ერთი გრძნობით კითხულობდა ლადოს „ბარდნალას“ და ნიშნიანიძის „კომუნისტებს“. საღამოების წამყვანის როლიც ნატოს ევალა: „მაშინ სად ჰქონდა საღამოს წამყვანს იმოდენა თავისუფლება ახლა რომ აქვს. ერთ ასეთ „კურიოზს“ გავიხსენებ (რომელიც მაშინ საკმაოდ „ძვირი დამიჯდა). მომიტანეს წამყვანის დაშტამპული ტექსტი. შეხვედრა იყო დეპუტატ მოსეშვილთან, თუ არ ვცდები. ამ ტექსტის ჩარჩოებს არანაირად არ უნდა გავშორებოდი. იყო დოგმა, ჩარჩო და მორჩა. საღამომ იმდენად კარგად ჩაიარა და იმდენად კარგი მაყურებელი მოვიდა, დასასრულს დარბაზის სამადლობელის მიზნით ტექსტში ჩაუწერელი ორად-ორი სიტყვა „წამომცდა“—„გმადლობთ, ყურადღებისათვის“. ვაი, თქვენს მტერს, მე მაშინ დღე დამადგა“. დიახ, ზოგჯერ ასეც ხდებოდა.

ე.წ. ოქროს ხანას ცოლ-ქმარი ბორის ხეცურიანის პერიოდს უწოდებს. საუკეთესო კრებული ყოფილა მაშინ—მანანა ჩხეტიანი, ლეილა ლეთოდიანი, ლევან კუპრაშვილი, რუბენ გოგიძე, სოზარ ბენდელიანი და სხვები და კარგ გუნდს საქმეც კარგად გამოსდიოდა. „საერთოდ ბედი გვწყალობს. დღესაც კარგ გარემოში ვტრიალებთ—ზაზა ყურაშვილი, დარეჯან საღინაძე, და სხვები. თუ ოდნავი ხელისშეწყობა გვექნება, მალე ახალი სპექტაკლიც დაიდგმება. პაუზა საშინელებაა სცენას მიჩვეული ადამიანისათვის, „თეატრს ყველა პრობლემა შეუძლია დაგავიწყოს, უთეატრობა კი შიმშილის გრძნობას ჰგავს“.

ნატოსა და საშურას ორი დიდი სიმდიდრე, ორი ვაჟი ვახო და გიორგი ჰყავთ. უფროსი, ვახო თურმე თეატრში არ დაბადებულა, თორემ იქ გაიზარდა. ოთხი წლიდან სიმღერა დაუწყია, ცეკვაშიც მალე მიუბარებიათ. სკოლის პერიოდში კი ალბათ ყველას გვახსოვს რა აქტიური იყო სცენაზე. იმაშიდაც არ შემედავებით, ძალიან რომ უხდება ვახო სცენას და პირიქით—სცენა მას. სკოლის პერიოდშივე ზაზა ყურაშვილის რეჟისორობით დადგმულ „კუკარაჩაში“ თამაზის როლი ითამაშა. შემდეგ ეს სპექტაკლი როცა განახლდა ვახო უკვე მოწიფული იყო და იგი მისმა ძმამ, გიორგიმ შეცვალა. ძალიან განსხვავდებიან თურმე ძმები ერთმანეთისაგან—გიორგი მორცხვია, ვახო თამამი, ეს უკანასკნელი კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-თეატრის სამსახალობოზე სწავლობს, მესამე კურსზეა. ვახოს დედა განსაკუთრებული მადლიერებით კულტურის სახლის დირექტორის, დარეჯან საღინაძის დამსახურებას უსვამს ხაზს—„რომ იტყვიან მან მოჰკიდა ხელი, მან აღმოაჩინა ვახო შეიძლება ვთქვა, რომ მისი შვილობილია. ინსტიტუტშიც ძალიან გაუმართლა ჩემს ვაჟს. ვშიშობდი, მაგრამ როცა გავიგე ზურაბ მანაგაძის, ნინელი ჭანკვეტაძის, სანდრო მრევლიშვილის, კახა ბაკურაძისა და რამაზ იოსელიანის მეურვეობის ქვეშ იმყოფებოდა, დავწყნარდი“.

რიგ-რიგობით ვუქცერ ვახოს შინაარსიანი სტუდენტობის ამსახველ ფოტომასალებს. აი, საკურსო სპექტაკლ „რიჩარდის“ ფოტო. ვახო რიჩმონდის როლში. ეს სპექტაკლი თურმე პანტომიმით დაიდგა. გასტროლები ჰქონიათ ერევანში, ოქტომბერში—როსტოვში, ინდოეთშიც აპირებენ ტურნეს.

პრობლემებზე საუბარი, მისი სიმრავლის მიუხედავად, ბოლოსთვის შემოვინახეთ. რა თქმა უნდა, საუბედუროდ, ისინი ბევრია, მაგრამ რა ასულდგმულებთ იცით ასეთ ადამიანებს? ხალხს რომ კიდევ იმის მოთხოვნილება უჩნდება შეგეკითხოს—ახალს არაფერს დგამთ? რეალობა და დღევანდელობა კი იმის პრეცენდენტსაც გვიხმოს, რომ ზოგჯერ ხელი ჩავიქნიოთ, მოვდუნდეთ, მაგრამ...

მაგრამ ჩვენ ეს ადამიანები გვჭირდებიან. სწორედ ახლა, როგორც არასდროს, რადგან გაძვირდა სიკეთე და სითბო, სილამაზე და ერთგულება. ნუ დაგვეზარება მათთვის მხურვალე აპლოდისმენტები, რათა არ ჩაცხრენ, არ ჩაიფერფლონ!

მარინა სვანიძე

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნები“

კარგა ხანია, უკვე, რაც საქართველო დემოკრატიული გრადაციის გზას ადგას. თავისუფალი აზროვნებით განებივრებულებს ჯერ კიდევ ბევრი რამ, ჩვენთვის მიუღებელი და უცხოა. მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები გვიზიარებენ იმ გამოცდილებას, რაც მათ უკვე მიიღეს. ამის გამო ჩვენს ქვეყანაში ფეხს იკიდებს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია. ერთ-ერთი ასეთი გახლავთ სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება. ორგანიზაცია საქართველოში 1995 წელს ჩამოყალიბდა და აშშ-ის საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტისა და საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ ფინანსდება.

საზოგადოებამ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ყველა დონის არჩევნების მასობრივი სამოქალაქო მონიტორინგის ტრადიციას. ჩაატარა როგორც საპარლამენტო, საპრეზიდენტო და ადგილობრივი არჩევნების მონიტორინგები.

„სამართლიანი არჩევნების“ მიზანია დაიხვწოს საკანონმდებლო ბაზა, საარჩევნო პროცედურები და საბოლოო ჯამში არჩევნები გახდეს სამართლიანი და დემოკრატიული. აგრეთვე მოიცავს მცირე გრანტების პროგრამას.

ორგანიზაცია საქართველოში ძირითადად ორ ოფისად იყოფა. (აღმოსავლეთისა და დასავლეთის) თითქმის ყველა რაიონში ჰყავს თავისი კოორდინატორები. მათ შორის ჩვენთანაც.

სამართლიანი არჩევნების საზოგადოება ცაგერის რაიონში 2001 წლის მაისის თვიდან ჩამოყალიბდა, რომლის კოორდინატორი გახლავთ გიორგი ახვლედიანი. ორგანიზაციამ მონაწილეობა მიიღო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. თითქმის ყველა საარჩევნო უბანში გაიგზავნა პირი—დამკვირვებლის სტატუსით, რათა რაიმე არაკანონიერ ქმედებას ადგილი არ ჰქონოდა. არჩევნების შემდეგ რაიონში არსებულმა ამ ორგანიზაციამ განახორციელა სამედიცინო სადაზღვევო პოლისის მონიტორინგის პროგრამა, რომელიც მოიცავდა მთელს რაიონს და რომლის ძირითადი ფუნქცია გახლდათ შეჭირვებული მოსახლეობისათვის გაეცნოთ სადაზღვევო პოლისის მოქმედების მექანიზმი.

დეკემბრის თვიდან იწყება ახალ პროექტზე მუშაობა კერძოდ, საპასპორტო-სავიზო, მოქალაქის პირადობის მოწმობებისა და პასპორტების გაცემის პროგრამაზე.

მოსახლეობამ ხშირად არ იცის, თუ რა ღირს, კანონის შესაბამისად, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მიღება მიუხედავად იმისა, რომ პასპორტის აღების წესი საკმაოდ გამარტივებულია, ხშირია, როცა საპასპორტო განყოფილებაში აჭიანურებენ საბუთების მიღების პროცედურას და პირდაპირ ასახელებენ საჭიროზე ზედმეტ თანხებს. მოსახლეობის ნდობა დაკარგულია ამ სამსახურების მიმართ და უმრავლესობა აღარც კი ცდილობს აიღოს მოწმობები. პროექტის მთავარი მიზანია დაეხმაროს მოქალაქეებს პასპორტის აღებაში, გააცნოს მათ თავიანთი კანონიერი უფლებები, რათა დაზარალებულნი არ აღმოჩნდნენ ისინი ზედმეტი თანხების გამოძალვის გამო.

ორგანიზაციამ ჩაატარა შეხვედრები მოსახლეობასთან. პროგრამებზე მუშაობის დროს დაამზადა და გამოუშვა საინფორმაციო ბუკლეტები. ამჟერად მიმდინარეობს მზადება მომავალი საპარლამენტო არჩევნებისათვის.

ეკა ყვირილიანი

სამხატვრო სკოლა: ფოტოები ხელოვნებისკენ და პროფესიულობისკენ

(დასასრული)

ნობის ნახევარ ფართზე სამწუხაროდ და სავალალოდ, ხუთი კომერციული მაღაზიაა განთავსებული და არავინ იცის აქედან შემოსული ქირა სად „იკარგება“.

მეცადინეობები, ძირითადად, გალერეის შენობაში მიმდინარეობს. სწავლების გადასახადი თვეში ორ ლარს შეადგენს და ამ შემოტანილი თანხით ზამთრისათვის შეშით მომარაგება შეძლეს, ხოლო დანარჩენით საღებავები შეიძინეს.

მოსწავლეები ხელოვნების ისტორიას, ასევე გრაფიკასა და გობელენს ეუფლებიან.

იყო წლები, როცა სრული ენთუზიაზმით მუშაობდნენ, რადგან თავიანთ პროფესიულ მოვალეობას ვერ უღალატეს. თანდათანობით გამოსწორდა მდგომარეობა. 2000 წელს ბიუჯეტში ჩაისვა სამხატვრო სკოლა. ამის გამო დიდ მადლიერებას გამოთქვამენ ყოფილი საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონ ზურაბ ხეცურიანის მიმართ, რომელმაც დახურვის კარზე მდგარი სკოლა გადაარჩინა.

საუბარში სურათების გალერეის დირექტორი ქალბატონი მაგული ჩაგვერთო და მანაც თავისი პრობლემები გაგვიზიარა: „ერთადერთ გადაუდებლად ამ ეტაპზე, რაც მიმაჩნია, ეს შენობის გადახურვის საკითხია, რადგან შენობაში წვიმა ჩამოდის და აზიანებს მხატვრულ ნიმუშებს. გალერეას გააჩნია ცნობილი მხატვრების გუდიაშვილის, ახვლედიანისა და სხვათა ორიგინალები და რადგან შენობას დარაჯი არ ჰყავს, ტილოები საცავში გვაქვს შენახული.“

ჩვენ მოსწავლეებთან საუბარს შევეცადეთ. საბა ბურჯალიანს პეიზაჟების ხატვა ჰყვარებია. ნინო დაშნიანს, რომელსაც უკვე იცნობს ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი, ნატურმორტები და პორტრეტები უფრო იტაცებს. ორ მოსწავლეს ზურიკო სვანიძეს და ირაკლი ბახსოლიანს თავიანთი სურვილით გადაეწყვიტათ ლადო ასათიანის მშობლიური სახლ-კარის ჩანახატის გაკეთება და ამისათვის სოფელ ბარდნალაში იყნენ წასულნი. მოგვიანებით ისინიც შემოგვიერთდნენ.

ბავშვების ნახატებში უფრო რუხი ფერები სჭარბობდა, სხვაგვარად არც შეიძლება. ჩვენს რეალობაში ხომ ეს ფერებია გაბატონებული და ამას ისინი კარგად გრძნობენ...

„ამ საუკუნეს, როგორც მხატვარი, ფიროსმანიც ეყოფა. მთავარია ჩვენს მოსწავლეებს ესთეტიკური აღქმის უნარი შევუმუშავოთ“—აღნიშნა გიამ.

მართლაც, არა აქვს მნიშვნელობა ეს ბავშვები გაიხდიან თუ არა პროფესიად ხელოვნების ამ დარგს. მთავარი ისაა, რომ ისინი გამორჩეულნი არიან იმ ნიჭით, რომელსაც მხატვრობა ჰქვია.

ეკა ყვირილიანი

ლეჩხუმში ადრე გავრცელებული ზოგიერთი წეს-ჩვეულება (ექვთიმე ახვლედიანის ჩანაწერების მიხედვით)

საგონჯაოდ წასვლა

ყველიერის პირველ დღეს თეთრი ორშაბათი ერქვა. ამ დღისათვის, ყველა გლეხს ჰქონდა ნამარხვი ყველით სავსე ხალამი, რომელსაც თეთრი ორშაბათის დილას მოხდიდნენ თავს და დაუწყებდნენ ხარჯვას, რაც ბავშვებმა კარგად იცოდნენ შეამხანაგდებოდა ოთხი ბავშვი, დაიჭერდნენ ხელში კალათებს და წავიდოდნენ სოფელში საგონჯაოდ. ერთი მათგანი, რომელსაც მეიპუპუეს ეძახდნენ, შეიარაღებდა ხის თოფითა და ლეკურით, პირზე მოირგებდა ნიღაბს და გაუძღვებოდა ამხანაგებს. როცა მოსახლეს მიუახლოვდებოდა, გონჯას ეტყოდა ამ სიტყვებით: „გონჯა მოდგა კარებსა, აღვრიალებს თვალებსა, ალაქასა, მალაქასა, ღმერთი მოგცემს ბარაქასა, ჩაკა ხელი ხალამასა, ამეიღე კმილი ყველი, ჩადე ამ ჩემ კალათასა“. ამას რომ მორჩებოდნენ, მეიპუპუე სახლის კარებს მივარდებოდა, დაუწყებდა ლეკურის ცემას და იძახდა: „მასპინძელო, იპუპუ, იპუპუ, სიციქვილი, სიციქვილიო“ და მანამ არ მოეშვებოდა, სანამ კბილ ყველს არ მისცემდა მასპინძელი, შემდეგ მეორე სახლთან მივიდოდნენ და ა.შ. ასე ბევრი ბავშვი დაიარებოდა, მაგრამ შენს მტერს უარესი, თუ ორი წყება მეგონჯავე ერთმანეთს ორღობეში შეხვდებოდა, დაერეოდნენ ერთიმეორეს და მთელ ნადავლს დაუმტვრევდნენ.

შინა რეწვა

ძველ ლეჩხუმში მრეწველობის ნაწარმი არ შემოდიოდა, არც ფართლეული, არც მინის ჭურჭელი. ყურადღება გადატანილი იყო შინარეწვაზე. კაცის ტანისამოსად ცხვრის მატყლისაგან მოქსოვილ ჩოხას და ძიქვას ხმარობდნენ. ქალების ჩასაცმელად კანაფისაგან დამზადებულ ტილოს იყენებდნენ, ფეხზე იცვამდნენ ხარის გამხმარი ტყავისაგან დამზადებულ ქალამნებს, თავზე იხურავდნენ შალის ნაჭრისაგან შეკერილ ფაფანაკს, რომელსაც კვახის ფოთლის ფორმა ჰქონდა. ასეთ პირობებში იყო ხალხი ძველ დროში, შემდეგ ნელ-ნელა შეიცვალა მდგომარეობა. დაიწყეს ბამბის შემოტანა, რასაც ქალები სტავდნენ, ქსოვდნენ და საცვლებს ამისაგან იკერავნენ. ერთ დროს ხამს ლურჯად ღებავდნენ, რასაც სახელად ერქვა დაინი, ამან შეცვალა ტილო. მალე ქალებმა დაინის კაბები შემოიღეს. კაცებს ტილოს პერანგი, შალის ჩოხა და ძიქვა ეცვათ (ძიქვას შარვალს ეძახდნენ). მაშინ ახალუხის ხსენებაც არ იყო, არც ავეჯზე იყო საუბარი. ჰონდათ მხოლოდ შინ დამზადებული კათხები და ჯამები. ბოლოს გამოჩნდა ნარმა, რომელმაც შეცვალა ტილო და ხამი, ამას შემოყვა ჩითი და ტყავის ფეხსაცმელი, გამოჩნდა მიწის ჭურჭელიც: ჭიქა (სტაქანი), საინი, ბოთლი, გრაფინი, ხელმისაწვდომი გახდა მაუდიც, რომლითაც შეძლებული ხალხი ჩოხებს იკერავდა. როცა ნარმა გახშირდა, შემოვიდა ერთი საუცხოო მოდა, ხაბარდას სახელით რომ იყო ცნობილი. ხაბარდა შემდეგნაირად მზადდებოდა: რკინის სამი ტკეჩიდან, კასრის სალტებს რომ გავდა, პირველი იყო წელის ზომის, მეორე უფრო სრული, ხოლო მესამე, კიდევ უფრო განიერი, ამ ტკეჩზე გადააკერებდნენ მორგებულად დაჭრილ ნარმას, რომელსაც ბოლო ორ არშიაზე ჰქონდა გაშლილი. ქალის კაბასაც ბოლო ამ სისრულის უნდა ჰქონოდა, ვინაიდან ხაბარდას ქალის ჩვეულებრივი კაბის შიგნით იცვამდა, რათა კაბა თავის ფორმაზე გაეჩერებინა, რის გამოც ერთი ხაბარდა ჩაცმული ქალი იჭერდა სამი უხაბარდო ქალის ადგილს. ხაბარდა დიდხანს ვერ შერჩა მოდას, ქალებს მალე მოსწყინდათ და კიდეც მიატოვეს. ალბათ, გახსოვთ ლადო ასათიანის უკვდავი სტრიქონები: „შენ უნდა გეცვას კაბა ხაბარდა, დაგოგმანებდე რუსთაველზედა“.

ბავშვის დაბადება, სახლის კურთხევა, ნათლობა და ნიშნობა

ლეჩხუმელი გლეხის ოჯახი ორშაბათსა და ხუთშაბათს არაფერს გასცემდა, რადგან სწამდა, რომ ხელს გადაყვებოდა. ამ დროს მე მოვესწარი, როცა აღნიშნულ დღეებში ცეცხლსაც ვერ ითხოვდი მეზობლისაგან. დღეს შეიძლება ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ როცა ასანთი არ იყო, მეზობელს მეზობლისაგან გადმოჰქონდა ცეცხლი, გვიან ღამით მას შეახვევდნენ რომ დილით რამდენიმე ნაკვერცხალი მაინც ენახათ ჩაუმქრალი და გაეჩაღებინათ კერა.

როცა ოჯახში ბავშვი დაიბადებოდა, მღვდელს მიიყვანდნენ და სახლს ნაკურთხ წყალს ასხურებდნენ. ახალშობილს რამდენიმე დღეში მონათლავდნენ ეკლესიაში ან ოჯახში. ნათლიად იმას აიყვანდნენ, ვინც მშობლებს სურდათ. ნათლობის შემდეგ ნათლიისა და ნათლულის ოჯახებს შორის საუკუნო ნათესაური კავშირი მყარდებოდა.

ხატარეშობა

შუა ლეჩხუმში მდებარე სოფლებს: დეხვირს, ჩვალბეჩს (ნასოფლარია), თხიზურგას (ნასოფლარია) ლესინდს, ცხეთას (ნასოფლარია) და ლასხანას ერთი საერთო სახელი—სადეხვირო ერქვა. მათ ერთი დამახასიათებელი ჩვეულება ჰქონდათ. აღდგომის მესამე ორშაბათი, როდესაც ხატარეშობას აღნიშნავდნენ, მათ ნახევრად უქმე დღედ ჰქონდათ გამოცხადებული. შუადღემდე ყანებში მუშაობდნენ, ნაშუადღევს დეხვირის ციხეზე, რომელიც გასული საუკუნის 60-იანი წლებში დაანგრიეს, ბუკს დაუკრავდნენ. ციხე ისეთ ადგილზე იყო აგებული (ახლა ნაციხარია) ,რომ ბუკის ხმა ყველა ზემოთ აღნიშნულ სოფელში ისმოდა. გლეხობა, რა თქმა უნდა, მუშაობას შეწყვეტდა, დაიბანდნენ, ტანსაცმელს გამოიცვლიდნენ, ისადილებდნენ და ეკლესიაზე შეიკრიბებოდნენ (ლაპარაკია ცხეთის ეკლესიაზე). ეკლესიიდან ჯვარსა და ხატს გამოასვენებდნენ და ბაირაღებით ქრისტე აღდგას გალობით ერთ ვერსს გაივლიდნენ და დანიშნულ ადგილზე შეჩერდებოდნენ. იქ იდგა დიდი ცაცხვის ხე (ეს ხე ახლაც მხნედ დგას ებელარს, ლესინდის ფართობში და ჩვენი ვალია, თუ ხატარეშობა აღდგება, შევძლოთ ისტორიული ცაცხვის ხის დაცვა). ხის ძირში იდგა დიდი ქვა, რომელზედაც ხატსა და ჯვარს დაასვენებდნენ, შემდეგ ქვას გადააბრუნებდნენ, მის ქვეშიდან ერთი წლის წინ შენახულ კვერცხის ტოლა ქვას გამოიღებდნენ, რომელსაც ერთი მკვლავმაგარი კაცი აღმოსავლეთის მიმართულებით გაისროლიდა. იქ გზირი იყო გაჩერებული, მას უნდა დაენახა, გასროლილი ქვა მიწაზე დაცემის დროს რომელი მიმართულებით შებრუნდებოდა. თუ ღმერთი ინებებდა და წამდა, მარჯვნივ მობრუნდებოდა, იტყოდნენ: წელს კარგი წელიწადი იქნებაო. იქედან მობრუნებულები ციხესთან მივიდოდნენ, სადაც კვლავ გაისმოდა ბუკის ხმა. იქ საჯვარე იყო მოწყობილი, სადაც ხატს დაასვენებდნენ. ვინც ხატს შესაწირს მიართმევდა, დაილოცავდნენ. პირველად დალოცავდნენ დადიანს, რომელიც ლეჩხუმის ბატონი იყო. ლოცვისათვის მადლიერების ნიშნად დადიანის მოხელეები პურითა და ღვინით გაუმასპინძლდნენ ციხეზე შეკრებილ ხალხს. ქეიფი საღამომდე გრძელდებოდა, ისმოდა ომახიანის სიმღერა. გვიან ღამით ნაქეიფარი ხალხი მადლიერი უბრუნდებოდა ოჯახს.

სამურეს წასვლა

კიდევ ერთი განსაკუთრებული ჩვეულება ჰქონდათ სადეხვიროს ხალხს. თუ კვირიკობისა და მარიობის თვეებში წვიმები გაგრძელდებოდა და კალოს ლეწვის ამინდი არ გამოვიდოდა, იტყოდნენ: სამურეს წავიდეთო, დაკრავდნენ დეხვირის ციხეზე ბუკს, მყის მოიყრიდნენ თავს და სამურეს წავიდოდნენ. სამურეს წასვლა დაკავშირებული იყო ერთ უძველეს თქმულებასთან. ერთ დროს სადეხვიროში დაიარებოდა წმიდა კაცი, რომელიც ყველა ეკლესიაში მიდიოდა და ერთ ან ორ კვირას ლოცულობდა. ბოლოს დეხვირში მივიდა და წმინდა მაცხოვრის ეკლესიაში დაიწყო ლოცვა. ზაფხული იყო, პურის ლეწვის დრო, ხალხი ღამით აბალახებდა მუშა პირუტყს, დღისით პურს ლეწავდა კალოზე. ამ დროს ერთმა დეხვირელმა ჭაბუკიანმა ხარების ძოვება მეზობლის ყანაში დაიწყო. ღამით დატოვებდა პირუტყს, დილით კი ადრე გადმოდენიდა, რომ არავის დაენახა. ამას ამჩნევდა უცნობი მლოცველი კაცი, რომელიც ჭაბუკიანის წასვლისთანავე ხარებს ყანიდან გადმოდენიდა და ჭიშკარს საიმედოდ დაკეტავდა. დილით, როცა ხარების მეპატრონე მოვიდოდა, პირუტყვი მშიერი ხვდებოდა. ასე განმეორდა მრავალგზის. ბოლოს ჭაბუკიანი ჩაუსაფრდა და უცნობი მოკლა. მაგრამ, როცა გაიგო, რომ მოკლული უწყინარი მლოცველი იყო, ბევრი ინანა, თუმცა, რომ არავის გაეგო, უცნობი, რომელიც წმინდა მაქსიმე აღმოჩნდა, მიწას მიაბარა და სახლში წავიდა. მაგრამ, მოხდა სასწაული, წმინდა მაქსიმეს ცხედარი მიწამ არ მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ გაოგნებულმა ჭაბუკიანმა საფლავი რამდენჯერმე გამოუცვალა. მთავარი მაინც ის იყო, რომ წმიდა მაქსიმეს მკვლელობიდან დაიწყო გადაუღებელი წვიმები და სადეხვიროს მოსახლეობას პურის ლეწვის საშუალება არ მიეცა.

მალე ჭაბუკიანმა ნახა სიზმარი: შეაბი მარხილში შენი ურა-ურა მოზვრები, ზედ დაასვენე მიცვალებული, მიუშვი ხარები თავის ნებაზე და სადაც გაჩერდებიან, წმიდა მაქსიმე იქ დაასაფლავეო. ჭაბუკიანი ასეც მოიქცა. მოზვრები წავიდნენ, ცხეთა გაიარეს, ორბელის წვერზე მივიდნენ და მარცხნივ მიუხვიეს, ჩხუტელი განვლეს,ჩავიდნენ მურს და იქ გაჩერდნენ. ჭაბუკიანმა საფლავი გაჭრა, სადაც წმინდა მაქსიმემ საუკუნო განსასვენებელი ჰპოვა. მაგრამ წვიმები მაინც გრძელდებოდა. კარგა ხნის შემდეგ ჭაბუკიანს. კვლავ ეზმანა, რომ თავისი საიდუმლო გაენდო ხალხისათვის, წაეყვანა ისინი იმ გზით, რომლითაც წმინდა მაქსიმეს ცხედარი წასვენა, მისულიყნენ მურში, მუხლი მოეყარათ მალე წვიმიანობა შეწყდა და ხალხს საშუალება მიეცა პური გაელეწა. ამის შემდეგ, როცა კვირიკობისა და მარიობის თვეებში წვიმები გაჯინდებოდა, ხალხი იტყოდა, სამურეს წავიდეთო და წავიდოდნენ კიდეც. ძველ ხალხს სწამდა, რომ სამურეს წასვლა უშედეგოდ არ დამთავრდებოდა. როგორც ექვთიმე ახვლედიანი ადასტურებს, სამურეს ერთხელ მის ბავშვობაშიც წასულა სადეხვიროს მოსახლეობა და იმ დღესვე გამოუდარებია.

როცა ხალხი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მათ თხოვნას წმინდა მაქსიმე ყოველთვის აკმაყოფილებდა, მის საფლავს მურში ქვის ეკლესია გადაადგეს ქრისტიანული წესით.

შენიშვნა. ტექსტში შეტანილია უმნიშვნელო შესწორებები, თუმცა საერთოდ ექვთიმე ახვლედიანის სტილი დაცული გახლავთ ომარ ჭაბუკიანი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი

კომისარიატებში რეორგანიზაცია მიდის

სამხედრო კომისარიატების სტრუქტურა შეიცვალა. არის სიახლეები. მკითხველს აინტერესებს ამის თაობაზე ინფორმაცია. მიუხედავად იმისა, დასახვეწია დებულება, კანონი ბევრი რამ, ჩვენ შევხვდით დაოპერატიული განმარტება ვთხოვეთ სამხედრო განყოფილების უფროსს გოჩა მურცხვალაძეს:

დიახ, სამხედრო კომისარიატმა განიცადა, რეორგანიზაცია, რომლის შედეგად ორ ნაწილად გაიყო——სამობილიზაციო და სამხედრო განყოფილებებად.

სამობილიზაციო განყოფილება შედის ეროვნული გვარდიის, ხოლო სამხედრო განყოფილება უშუალოდ რაიონის გამგეობის დაქვემდებარებაში.

ჩემი, ანუ სამხედრო განყოფილების მოვალეობაა პირველადს სამხედრო აღრიცხვაზე აიყვანოს რაიონში მცხოვრები 15 წლის ასაკის ჭაბუკები, ხოლო 18 წლისანი გაიწვიოს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. რაიონის სამობილიზაციო განყოფილება კი ასრულებს ყველა იმ დანარჩენ მოვალეობას, რაც შედიოდა ყოფილი კომისარიატების ფუნქციებში.

სამხედრო განყოფილება დღეისთვის დაკომპლექტების პროცესში, მიმდინარეობს შეთანხმებები ფინანსთა სამინისტროსთან საშტატო ერთეულების განსაზღვრისათვის. ეს და სხვა აუცილებელი საკითხები, ალბათ, უახლოეს დროში გადაწყდება.

რაიონში მოწვევისა და გამწვევი კომისიის თავმჯდომარედ ინიშნება რაიონის გამგებელი.

საქართველოს კანონში „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, რომლითაც დღემდე მუშაობდნენ კომისარიატები, შედის მთელი რიგი ცვლილებები და მალე კანონი განახლებული ფორმით იქნება მზად.

ასე, რომ კონკრეტულად ჩვენს მუშაობაზე, პრობლემებზე, გაწვევის თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობასა და სხვა საკითხებზე ჩვენ მალე შევხვდებით მკითხველს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამაზი ფეხბურთი ცაგერში

რაიონის სპორტკომიტეტის ინიციატივით ქ. ცაგერის სპორტულ დარბაზში ჩატარდა ვაჟ ფრენბურთელთა ტურნირი რაიონის უძლიერესი ქ. ცაგერის, ლასურიაშის, ქვედა ცაგერისა და ზუბის გუნდების მონაწილეობით.

სპორტულ ღონისძიებაზე შეკრებილმა მარვალრიცხოვანმა მაყურებელმა საინტერესო, ლამაზი პაექრობა იხილა.

შეჯიბრების მონაწილე გუნდებში თამაშობდნენ საქართველოს ჩემპიონები, ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრები.

მეტოქეები ერთმანეთს წრიული სისტემით ხვდებოდნენ, რის შედეგადაც 3 მოგებით პირველი ადგილი მოიპოვა ლასურიაშის გუნდმა, რომელმაც დასკვნით შეხვედრაში დაძაბული თამაში მოუგო სოფელ ქვედა ცაგერის გუნდს.

ოსტატური თამაშით განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ახალგაზრდა პერსპექტიულმა მოთამაშეებმა ლასურიაშელმა ირაკლი ბრეგვაძემ, ქვედა ცაგერელმა ძმებმა ლაშა და დათო ლიპატრელიანებმა, ცაგერლებმა დათო ქარსელაძემ და ზაალ ხაბულიანმა.

გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვდა გარდამავალი თასით და ფულადი პრიზით.

სურათზე: საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, ფრენბურთელთა აღმზრდელი თენგიზ საღინაძე რაიონის ახალი თაობის ფრენბურთელებთან.

ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ, დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ

⅄ ⅄ ⅄

ხორცის სიმძიმე მაიძულებს
დავეშვა დაბლა.
ცაში ვიფრენდი, რა თქმა უნდა,
იგი რომ არა.
სიტყვას ვიტყოდი, რა თქმა უნდა,
უფრორე მძაფრად
იგი რომ არა.

ხარ ხორციელი--სიდიადეს
ვინ დაგიჯერებს!--
სხეული შენი შენ უღმერთოდ
გაჰატარავებს.
ღმერთის რომ იყო--
სიტყვას შენსას შორს დაიჭერენ!
--პატივს გცემს ვინმე?
--გიცნობს ვინმე?
--ალბათ, არავინ!

რას წარმოადგენს თავისთავად
შენი ცხოვრება?
--მუდამ,
-ყოველდღე--
იმედების გაბათილებას!
--რა გელოდება?
--არაერთხელ ჩაიქოლები!
--კიდევ რა გელის?
--ჯვარცმა!
--მერე?--მერე... დიდება!--
ოდეს
ხორცისგან განატვირთები.--

მუხრან მაჭავარიანი

ასპარეზობენ მოჭადრაკეები

ჭადრაკში ვაჟთა შორის რაიონულ შეჯიბრებაში 8 მონაწილეს შორის პირველ ადგილზე გამოვიდა ჩხუტელელი სპარტაკ კვირიკაშვილი, მეორე ადგილი წილად ხვდა ლასურიაშელ გოჩა მუშკუდიანს. მესამე ადგილი მოიპოვა ცაგერელმა გია ახვლედიანმა.

გიორგი კვირიკაშვილი
რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე

გილოცავთ

ჟუჟუნა ჯიქიას!

სულითა და გულით მოგილოცავთ ღირსების ორდენით დაჯილდოებას. კვლავაც მხნეობას, ახალ-ახალ გამარჯვებებს გისურვებთ მოსწავლე,ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ რედაქცია

მარინა ბერიძე; მაგული ლეთოდიანი



ცრემლსა და დარდში გავატარეთ ორი წელი. 2001 წლის 31 იანვარი შავად გათენდა ჩვენი ოჯახისათვის. ორი წელი გავიდა მას შემდეგ რაც შენი სითბოთი სავსე თვალები აღარ ანათებს. მოუშუშებელი ჭრილობა და ტკივილი დაგვიტოვე გულებში. ჩუმად და მოულოდნელად დატოვე შენი ლამაზი სიცოცხლე. რაც უნდა დრო გავიდეს ვერაფერი გაანელებს იმ ტკივილს და მწუხარებას, რაც ჩვენ განვიცადეთ:

გწამდეს არასდროს არ დაგივიწყებთ
ანდერძად ეს დაგვიტოვე,
მუდამ ჩვენს გვერდით გიგულვებთ,
ჩვენო ძვირფასო მარინე!

კიდევ ერთი სიცოცხლე მოგვაკლდა ახლობლებს და ნათესავებს. შენი საყვარელი მაგული დეიდა. მოულოდნელად გამოგვეცალა ხელიდან.

2003 წლის 31 იანვარს 2 წელი გავიდა უშენოდ.

2003 წლის 2 თებერვალს შენი მაგული დეიდის გარდაცვალებიდან კი 1 წელი.

იძინეთ მშვიდათ, ჩემო საყვარელო შვილო მარინე და დაო მაგული.

ღმერთმა დაიფაროს თქვენი სპეტაკი სულები და გაგინათოთ სასუფეველი.

თქვენი ოჯახები

ხსოვნა

ნინო ჭეიშვილი-ფიფია



ჩვენო საყვარელო ნინო, 2 წელი გავიდა იმ „ღვთისგან დადგენილი დღიდან“, როცა შენმა სულმა სასუფეველში გადაინაცვლა.

წახვედი და დაგვიტოვე ღრმა ტკივილი და ლამაზი მოგონებები შენს ყველა ახლობელს, საყვარელ დედ-მამასა და მეუღლეს. 22 წელი იცხოვრე ამქვეყნად და ყველგან სიყვარულსა და სითბოს თესავდი. როგორ ხარობდნენ შენი მშობლები... სამედიცინო უნივერსიტეტს ამთავრებდი და შენს კეთილ მომავალზე ფიქრობდნენ. ბედიც ბედნიერი გქონდა... მაგრამ უფალმა შენ ამოგირჩია იმ მშვენიერების საჭვრეტად, „რომლის წინაშეც ყველა სილამაზე ფერმკრთალდება“.

შენს დედ-მამასა და ნათესავებს გვახსენდება წმ. ავგუსტინეს სიტყვები:

„სიკვდილი არა არის რა, მე მხოლოდ გაღმა მხარეს გავედი...
ნუ მიიღებ სამგლოვიარო და მწუხარე იერს...
სიცოცხლე...
ილოცე, გაიღიმე, იფიქრე ჩემზე, ჩემთან ერთად ილოცე...“

სხვა რაღა დაგვრჩენია, ვილოცებთ შენი სულისთვის და შევთხოვთ უფალს, დაგამკვიდროს იქ, „სადაც მართალნი განისვენებენ“.

ახლობლები

არშაკო ბიქტორის ძე ომანაძე

შენმა სიკვდილმა ხალხი გააოგნა. ამავე ხალხმა დაგიტირა ლეჩხუმში და ქუთაისში, ამავე ხალხს გაუჭირდა შენთან განშორება.

დღეს კი შენს ოჯახში აღელვებულ ზღვასავით არეულ ფიქრებში, ყრუ კედლების მიღმა დარჩენილა აცრემლებული თვალები. თითქოს წლებს უნდა მიევიწყებინა ტკივილი, მაგრამ ამაოდ. იანვრის თვე ჩვენთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ოჯახს მონატრებული დაბრუნებისთანავე მოულოდნელად სამუდამოდ წახვედი. უმძიმს უშენობა შენ თმაშეჭაღარავებულ მეუღლეს, რომელიც შვებას შენივე საფლავის ქვასთან პოულობს. უმძიმს შვილებს შენზე წარსული დროში საუბარი, მაგრამ სულს მოგონებებით იმშვიდებენ.

შენ ყოველთვის გწამდა და გჯეროდა ანგელოზებთან მიახლოების. ჩვენ კი შენივე რწმენით ვიიმედებთ თავს, რათა ერთმანეთს სასუფეველში კვლავ ერთ ოჯახად შევხვდეთ.

ოჯახი

მზევინარ ძნელაძე, შურა შკუბულიანი ოჯახით სამძიმარს უცხადებენ გიზო ქარსელაძის ოჯახს

დედის

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი
თამარ დავითულიანი

პასუხისმგებელი მდივანი
მზევინარ ძნელაძე

სარედაქციო კოლეგია:
ეკა ყვირილიანი,
მარინა სვანიძე,
ეკა ბენდელიანი.

მისამართი:
ცაგერი, რუსთაველის №47. ტელ: 22-86

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის ს/ს „სტამბაში“
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ:7-07-60, 7-34-99